საშუალო საფეხურის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა

ნიკა ზიბზიბაძე, ანი მეხუზლა, თინათინ ბედუკაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ზოგადი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი - მანანა რატიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

მადლობა

გვსურს გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც შეუფასებელი წვლილი შეიტანეს აღნიშნული ნაშრომის მომზადებაში. უპირველეს ყოვლისა, გვსურს გამოვყოთ პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი სალომე აბრამიშვილი, რომელიც პირველივე დღიდან სრული ენთუზიაზმითა და მონდომებით იყო პროცესებში ჩართული. გარდა ქალბატონი სალომესი, გვსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ არგვეთის საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს აქტიური თანამშრომლობისათვის და აღნიშნულ კვლევაში ფასდაუდებელი წვლილის შეტანისათვის.

გარდა ამისა, გვსურს მადლობა გადავუხადოთ ჩვენი ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს ქალბატონ მანანა რატიანს, რომელიც არასდროს იშურებდა დროსა და ენერგიას, რათა მოეწოდებინა ჩვენთვის შესაბამისი რეკომენდაციები და ნაშრომი გამხდარიყო სრულყოფილი.

კიდევ ერთი მადლობა გვსურს გადავუხადოთ ორგანიზაცია მაკ ჯორჯიას, რომელმაც სრულად დააფინანსა ჩვენი გუნდის წევრების ყველა საჭირო ტრანსპორტირება თბილისიდან კლიენტ ორგანიზაციამდე.

ბოლოს კი, განსაკუთრებული მადლობა გვსურს ვუთხრათ თითოეულ მოწვეულ სტუმარს, ტრენერს, პროფესიონალსა და, რა თქმა უნდა, მოსწავლეს.

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნიკა ზიბზიბაძე

თინათინ ბედუკაძე

ანი მეხუზლა

15.06.2023

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკის კვლევის ანგარიში, რომელიც განხორციელდა სსიპ პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლაში და რომლის საკვლევი თემაც გახლავთ: საშუალო საფეხურის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა. კვლევა მოიცავს პრობლემის იდენტიფიცირების, დიაგნოსტირების, ინტერვენციების განხორციელებისა და მათი შეფასების საფეხურებს. ამ კომპლექსური პროცესის მთავარი მიზანი კი სკოლისთვის პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი პროგრამის შემუშავება გახლდათ, რომელიც იქნებოდა მდგრადი და ხელს შეუწყობდა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს მიეღოთ ინფორმირებული და გააზრებული გადაწყვეტილება.

კვლევის მთავარი პრობლემის იდენტიფიცირება მოხდა სკოლის დირექტორთან პირველადი გასაუბრების განხორციელების შედეგად. როგორც აღმოჩნდა, მოსწავლეებს ხშირად უჩნდებოდათ კითხვები პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით, თუმცა სკოლაში ექსპერტული პასუხის მოძიება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. შესაბამისად, პრობლემის სიმწვავე თავიდანვე აშკარა გახდა, თუმცა, არსებული მდგომარეობის დასადგენად განვახორციელეთ დიაგნოსტიკური კვლევა, რომელმაც პრობლემის სიმძაფრე კიდევ ერთხელ დაადასტურა. დიაგნოსტიკური კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუ სკოლის დირექტორთან, ფოკუსჯგუფი მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან (მე-10 და მე-11 კლასი).

დიაგნოსტიკური კვლევის შედეგად გამოვლინდა კონკრეტული საჭიროებები, განისაზღვრა სამიზნე ჯგუფი და იდენტიფიცირდნენ პროცესში ჩართული მასწავლებლები. ამ ყოველივეს დადგენის შემდეგ, ჩვენმა გუნდმა მიმოიხილა ლიტერატურა საკითხის უკეთ შესწავლისა და თეორიული ჩარჩოს მოძიების მიზნით. მრავალფეროვანი ლიტერატურიდან შევარჩიეთ GIZ-ის მიერ შემუშავებული დოკუმენტი სახელწოდებით: პროფესიული ორიენტაცია, ხუთი ნაბიჯი იმისათვის, რომ მივიღოთ

პროფესიული გადაწყვეტილება. აღნიშნული მოდელის მოდიფიცირების შედეგად შემუშავდა 4-ეტაპიანი ინტერვენციების გეგმა, რომელიც წარმატებულად განვახორციელეთ სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ერთად. თვითშეცნობა, პროფესიული კვირეული, შეხვედრა პროფესიულ სამყაროსთან და სასკოლო/საუნივერსიტეტო შესაძლებლობები – ეს გახლდათ 4 უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომელთა შესახებაც დეტალური ინფორმაცია მოცემულია ნაშრომის შესაბამის ნაწილში.

განხორციელებული ინტერვენციების შედეგად ამაღლდა სასკოლო საზოგადოების ცნობიერება პროფესიულ ორიენტაციასთან მიმართებით. მასწავლებლებთან ერთად შეიქმნა და ჩამოყალიბდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ეფექტური მექანიზმი, რომელიც იქნება მდგრადი და გრძელვადიანი. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, კვლევის შედეგად მათ მიეცათ სრული ინფორმაცია თუ როგორ მოახდინონ ამ საკითხის ინტეგრირება კურიკულუმში, რაც ცალსახად მდგრადობის გარანტი ხდება. მეორე მხრივ კი, დაოსტატდნენ პროფესიული ორიენტაციის, როგორც სასკოლო პროექტის განხორციელებაში საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა, მოსწავლეთა 81.8 პროცენტი აფიქსირებს მოსაზრებას, რომ განხორციელებული აქტივობები დაეხმარებათ ან ძალიან დაეხმარებათ პროფესიის არჩევაში.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევა ძალიან კარგი აქსელერატორია სკოლისათვის გააგრძელოს აღნიშნული საკითხზე მუშაობა და პრაქტიკის კვლევის ციკლურობის გათვალისწინებით, მუდმივად იზრუნოს სკოლაში ეფექტური და ნაყოფიერი პროფესიული ორიენტაციის პროგრამის შექმნასა და შენარჩუნებაზე.

საძიებო სიტყვები: პროფესიული ორიენტაცია, კარიერული დაგეგმვა, პრაქტიკის კვლევა, პროფესიები, ინტერესები და უნარები, კურიკულუმი, ინტერვენცია, პროფესიის არჩევა, საუნივერსიტეტო შესაძლებლობები.

Abstract

This document presents a comprehensive report on an action research conducted at LEPL Village Argveti Public School in Sachkhere Municipality. The research focuses on promoting a professional orientation program for high school students, encompassing problem identification, diagnosis, intervention implementation, and evaluation. The ultimate objective of this multifaceted process was to develop a sustainable professional orientation program that would assist high school students in making informed decisions regarding their future careers.

The research problem emerged from interviews conducted with the school principal, revealing that students often lacked access to competent guidance on career choices within the school setting. Recognizing the gravity of the issue, a diagnostic study was conducted to assess the current situation, reaffirming the significance of the problem. The diagnostic research involved in-depth interviews with the school principal and a focus group consisting of teachers and students from 10th and 11th grades. This process led to the identification of specific needs, as well as the selection of the target group and a designated leader teacher.

Subsequently, a thorough literature review was conducted to enhance understanding of the subject matter and establish a theoretical framework. Amongst various literature sources, a document titled "Professional orientation; Five steps to decision on a school and occupation" developed by GIZ was chosen. By modifying this model, a four-stage intervention plan was developed and successfully implemented in close collaboration with the school administration and teachers. These stages included self-awareness, a Week of Professions, meetings with professionals, and exploration of school/university opportunities. Detailed information regarding each stage is provided within the relevant sections of this report.

The implemented interventions significantly heightened awareness of professional orientation within the school community. Collaboratively with the teachers, an effective mechanism for professional orientation and career planning was established, ensuring its long-term

sustainability. Teachers gained comprehensive knowledge on integrating this subject into the curriculum, ensuring continuity. Furthermore, they acquired proficiency in implementing professional orientation as a school project for high school students. Notably, 81.8 percent of students expressed their belief that the conducted activities would greatly assist them in making informed career choices.

This research serves as a catalyst for the school's ongoing commitment to addressing this issue. Embracing the cyclic nature of action research, the school will continue to prioritize the creation and maintenance of an effective and fruitful professional orientation program. The outcomes of this research lay a solid foundation for the school's future endeavors in this domain.

Key words: Professional orientation, career planning, action research, professions, interests and skills, curriculum, intervention, career choice, university opportunities.